ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #19, 29.08.2018
დოკუმენტის ამოქმედების ვადა: 17.09.2018

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

ა. რურუა

MD-04.2018.G

სარეიტინგო სისტემა.
ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია

თბილისი
2018

შინაარსი

პრეამბულა	3
1. ზოგადი დებულებები	4
2. სარეტინგო სისტემის მნიშვნელობა	4
3. სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა 1. სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა; 2. სტუდენტის პირადი სარეიტინგო ქულა. სტუდენტთა სარეიტინგო სისტემის გამოყენება	4
4. აკადემიური პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის რეიტინგი. სარეიტინგო სისტემა - ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი 1. აკადემიური პერსონალის რეიტინგის სისტემის მიზანი და ამოცანები; 2. აკადემიურ პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა; 3. საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის რეიტინგი	6
5. რეიტინგის შედეგები. შედეგების გასაჩივრება. პასუხისმგებლობები და ვალდებულებები 1. რეიტინგის შედეგები და შედეგებზე გავლენის მქონე ფაქტორები. შედეგების გასაჩივრება; 2. პასუხისმგებლობები და ვალდებულებები	7
6. სარეიტინგო სისტემის დანერგვა	8
7. დანართები	8
8. დოკუმენტების კონფიდენციალურობა და საჯაროობა	9
9. დასკვნითი დებულებები	9

პრეამბულა

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მეთოდოლოგიური დოკუმენტია;
2. დოკუმენტი ვრცელდება პროგრამის, პროგრამის სტუდენტების და განმახორციელებლების, ასევე ფაკულტეტის დეკანის და მთლიანად ფაკულტეტის სარეიტინგო და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებასთნ დაკავშირებულ პროცესებზე;
3. დოკუმენტი:
   1. დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
   2. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამტკიცების აქტით.
4. დოკუმენტი ს პერიოდული შემოწმება ხორციელდება არანაკლებ 12 თვეში ერთხელ;
5. დოკუმენტში ცვლილებები მუშავდება და შედის ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ სა-მართლებრივი/სხვ. დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დოკუმენტი;
6. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ორიგინალი, ელ.ვერსია);
7. დოკუმენტის მოქმედი ელ.ვერსია განთავსებულია ბტუ-ს ვებგვერდზე www.btu.edu.ge

2. ძირითადი საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი;
5. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
6. საქართველოს კანონები უმაღლესი განათლების შესახებ და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
7. საქართელოს მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები და სტანდარტები;
8. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრონციპები (European Standards and Guidelines – ESG-2015);
9. ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
10. ISO 21001:2018 - საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
11. ბტუ-ს შინაგანაწესი; ბტუ-ს მისია, განვითარების სტრატეგია, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
12. ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის დებულებები;
13. ბტუ-ს ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი დებულებები, წესები, ინსტრუქციები..

3. ძირითადი შესაძლო შემოკლებები და განმარტებები

ბტუ ან უნივერსიტეტი -	შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი";
ფუნდამენტური დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც სარგებლობს უპირატესი ძალით ბტუ-ს სხვა შიდა დოკუმენტებთან მიმართებაში და წარმოადგენენ მათ საფუძველს;
შიდა ნორმატიული დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბტუ-ს საქმიანობის შიდა მარეგულირებელ ნორმებს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს (მოქმედ დოკუმენტებში გამოყენებულია დასახელება „ნორმატიურლი დოკუმენტი");
სტრატეგიული დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბტუ-ს ხედვას მისი განვითარების მიმართულებების შესახებ;
მეთოდოლოგიური დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც აღწერს ბტუ-ს საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის/სფეროს მოწესრიგების პროცესს, მის თავისებულებებს და გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას;
თანამდებობრივი ინსტრუქცია -	ბტუ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
სტრუქტურული ერთეულის დებულება -	ბტუ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/პერსონალის დანიშვნის წესსა, მათ თანამდებობრივ ფუნქციებს და სხვ.;
აღრიცხული ეგზემპლარი -	დოკუმენტი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო კოდი დოკუმენტთა ნომენკლატურის მიხედვით;
საგანმანათლებლო პროგრამა -	საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
სტუდენტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/ სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
მაგისტრანტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
დოქტორანტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
უსდ/სდ -	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
ხს -	ხარისხის სისტემა;
ECTS -	კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
ENQA -	European Network for Quality Assurance;
ESG -	European Standards and Guidelines;
ISO -	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (შემდგომში - ბტუ) სარეიტინგო სისტემა და ეფექტიანობის მართვის მეთოდოლოგია (შემდგომში - დოკუმენტი/წესი) აღწერს სარეიტინგო სისტემის და ეფექტიანობის შეფასების გამოყენების მეთოდოლოგიას. წესის მიზანია მიმდინარე პროცესების შეფასების და მათი დინამიკის დადგენის ხელშეწყობა. წინამდებარე დოკუმენტი შეიძლება დაინერგოს სრული მოცულობით ან იყოს გამოყენებული მისი ერთი/რამდენიმე კონკრეტული მიმართულება;
2. წინამდებარე დოკუმენტი საჯაროა. ბტუ-ში მოქმედი საერთო წესი: ბტუ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ვებგვერდის მეშვეობით. ბტუ-ს სტუდენტები, პერსონალი და სხვა პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და შეასრულონ ბტუ-ში მოქმედი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;
3. ყველა საკითხი, რომელიც მიეკუთვნება ამ დოკუმენტის რეგულირების სფეროს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტში და ბტუ-ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში/წესებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. სარეტინგო სისტემის მნიშვნელობა

1. რეიტინგი - ეს არის ინდივიდუალური მაჩვენებელი (რიცხვი), რომელიც ასახავს კონკრეტული პირის მდგომარეობას სხვა პირთა შორის, რაც გამოიხატება ქულების რაოდენობით. რეიტინგი არის პირის ნომერი (ადგილი) საერთო სიაში, რომელიც იწყება ყველაზე მაღალი სარეიტინგო ქულით;
2. სარეიტინგო სისტემა ვრცელდება პროგრამების განმახორციელებელ პერსონალზე, სტუდენტებზე, პროგრამებზე, პროგრამების ხელმძღვანელებზე, ფაკულტეტზე და ფაკულტეტის დეკანზე;
3. სარეიტინგო სისტემა აფასებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტის მიღწეულ შედეგებს და წარმოადგენს პროგრამების და ფაკულტეტის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს;
4. პერსონალური რეიტინგი განიხილება, როგორც:
1) პერსონალის საქმიანობის ხარისხის და ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი;
2) სტუდენტის აკადემური მოსწრების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი.
5. სარეიტინგო სისტემა წარმოადგენს:
1) პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ობიექტურობის გაზრდის ერთ-ერთ ელემენტს;
2) სტუდენტების მომზადების დონის შეფასების ობიექტურობის გაზრდის და სასწავლო პროცესის მართვის ერთ-ერთ ელემენტს;
3) აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შედეგების დინამიკაზე დაკვირვების მექანიზმს.
6. სარეიტინგო სისტემამ შეიძლება გადაჭრას პროგრამის კომპონენტის შესწავლის დატვირთვის, სტუდენტის მიერ გაწეული შრომის ეფექტიანობის განსაზღვრის და შეფასების რელევანტურობა;
7. ბტუ-ს სარეიტინგო სისტემა აძლევს შესაძლებლობას:
1) განსაზღვრონ სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ათვისების ხარისხი;
2) სტუდენტთა რეიტინგების საფუძველზე დააფიქსირონ საგანმანათლებლო პროგრამებით დაგეგმილი კომპეტენციების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის კომპონენტების, აკადემიური წლების, ფაკულტეტის მიხედვით და მთლიანად ბტუ-ში;
3) მოახდინოს პერსონალის მუშაობის ხარისხის კონტროლი.
7. რამდენიმე აკადემიური წლის სარეიტინგო ქულების შედარება და სიტუაციის ანალიზის შედეგები შეიძლება იყოს გამოყენებული საკვლევი ასპექტის პროგრესის/რეგრესის დასადგენად;
8. სარეიტინგო სისტემის ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია როგორც პროცესის სისტემურობა, ისე დაინტერესებულ პირთა დროული და ამომწურავი ინფორმირება რეიტინგის შედეგების შესახებ.

მუხლი 3. სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა

1. სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა

1. რეიტინგი არის სტუდენტის ადგილი სტუდენტთა საერთო სიაში, რომელიც იწყება ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტით;
2. პირადი რეიტინგი - ეს არის ინდივიდუალური მაჩვენებელი (რიცხვი), რომელიც ასახავს კონკრეტული სტუდენტის აკადემიური მოსწრების მდგომარეობას სხვა სტუდენტებს შორის, რაც გამოიხატება კონკრეტული მომენტისთვის დაგროვილი ქულების რაოდენობით;
3. ბტუ-ში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტის გადმოსვლის შემთხვევაში მის რეიტინგში იქნება გათვალისწინებული ბტუ-ს მიერ აღიარებულ კრედიტები და შეფასებები.
4. სარეიტინგო სისტემის დანერგვის ძირითად მიზნებს მიეკუთვნება:

1) სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა უკეთესი შედეგების მიღწევის სტიმულის შექმნის გზით;
2) პირობების შექმნა შრომის ბაზარზე ბტუ-ს კურსდამთავრებულთა მაღალი კონკურენტუნარიანოს უზრუნველყოფის მიზნით;
3) სტუდენტთა მიღწევების შეფასების ობიექტურობის გაზრდა, მათ შორის სტუდენტის აკადემიური მიღწევების რეიტინგის მეშვეობით;
4) სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის და მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამის, ფაკულტეტის და მთლიანად ბტუ-ს დონეზე;
5) აკადემიურ მიღწევებში სტუდენტთა შორის შეჯიბრებითობის გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

5. სარეიტინგო სისტემა აიგება სტუდენტთა მიერ პროგრამის კომპონენტების ათვისების ხარისხის რაოდენობრივი შეფასების უწყვეტი დაგროვების პრინციპზე;

6. შეფასების ობიექტები - ეს არის სტუდენტის საქმიანობის შედეგები, რომლებიც იძლევიან მისი ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების შეფასების საშუალებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება შეფასების სხვადასხვა კომპონენტები/მათოდები, მაგ., პრეზენტაციები, თეორიული/პრაქტიკული დავალებები და სხვა შეფასების ობიექტები, რომლებსაც აქვთ დოკუმენტური დადასტურება;

7. სარეიტინგო სისტემის ერთერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სტუდენტთა დროული და ამომწურავი ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ;

8. სტუდენტთა შეფასება ფიქსირდება ბტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში (შემდგომში - ბაზა), რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის მიღებული შეფასებების დროულად გაცნობას და შეფასების გამჭვირვალობას. სარეიტინგო სისტემის ღიაობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

2. სტუდენტის პირადი სარეიტინგო ქულა. სტუდენტთა სარეიტინგო სისტემის გამოყენება

1. სტუდენტის სემესტრის/აკადემიური წლის პირადი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება სემესტრში/აკადემიურ წელს 100-ქულიანი შეფასების სისტემით მიღებული შეფასებების ქულების ან შესაბამისი GPA-ს დაჯამებით და ამ ჯამის გაყოფით სემესტრში/აკადემიურ წელს პროგრამის შესასწავლი კომპონენტების რაოდენობაზე;

2. სტუდენტთა შეფასების ქულები შეიძლება იყოს გამოყენებული ერთსა და იმავე პროგრამის ან/და სასწავლო ჯგუფის მიერ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში შედეგების შედარების მიზნით;

3. ზემოთ მითითებული მეთოდი შეიძლება იყოს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, თუ სხვადასხვა სასწავლო ჯგუფებს პროგრამის ერთსა და იმავე კომპონენტს ასწავლიან სხვადასხვა ლექტორები. ქულების არსებითი სხვაობის შემთხვევაში უნდა იქნეს შესწავლილი სხვაობის გამომწვევი მიზეზები;

4. გარდა სტუდენტის პირადი რეიტინგის დადგენისა, სტუდენტთა აკადემიური რეიტინგის სისტემა ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული რაოდენობრივი მაჩვენებლების (ქულების) მეშვეობით საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის დადგენის მიზნით:

1) სასწავლო კურსის შემთხვევაში - ჯამდება ჯგუფის ყველა სტუდენტის სარეიტინგო ქულები და იყოფა სტუდენტთა რაოდებობაზე;
2) ლექტორის შემთხვევაში - ჯამდება ყველა მისი სტუდენტის სარეიტინგო ქულა და იყოფა სტუდენტთა რაოდებობაზე;
3) საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - ჯამდება ყველა სტუდენტის სარეიტინგო ქულები და იყოფა სტუდენტთა რაოდებობაზე;
4) ფაკულტეტის შემთხვევაში - ჯამდება ფაკულტეტის სტუდენტების სარეიტინგო ქულები და ჯამი იყოფა სტუდენტთა რაოდენობაზე (აღნიშნული გამოიყენება ფაკულტეტზე აკადემიური მოსწრების შედარების და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით);

5. გარდა აკადემიური მოსწრების რეიტინგისა, შესაძლებელია იყოს გამოყენებული სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართულობის რეიტინგი (მაგ., ბტუ-ს/ბტუ-ს პარტნიორი დაწესებულებების პროექტებში, კონფერენციებში, სამეცნიერო საქმიანობაში, ბტუ-ს სხვა ღონისძიებებში ჩართულობა და/ან სხვ.), რაც წარმოადგენს ამ საქმიანობაში ჩართული სტუდენტების წახალისების მექანიზმს. ამ მექანიზმის გამოყენების პირობები (მათ შორის, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, წახალისების ოდენობა და გაცემის პერიოდულობა, სარეიტინგო სიის ადგილების რაოდენობა და სხვ.) განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, რომელიც გამოიცემა სემესტრის დაწყებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში. უნდა იყოს უზრუნველყოფილი გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპები:

- სარეიტინგო კონკურსი გამჭვირვალეა, თუ ინფორმაცია თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის. სტუდენტებისთვის კონკურსის ჩატარე-

ბის თარიღისა და პირობების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობით;

- სარეიტინგო კონკურსი თანასწორია, თუ გამოირიცხება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია და ყველა კონკურსანტი იმყოფება თანაბარ პირობებში;
- სარეიტინგო კონკურსი სამართლიანია, თუ გამოყენებულია შერჩევის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმები.

6. ზემოთ მითითებულ შემთხვევებში ხდება რამდენიმე აკადემიური წლის სარეიტინგო ქულების შედარება და სიტუაციის ანალიზი - რამდენიმე წლის შედეგები შეიძლება იყოს გამოყენებული პროგრესის/რეგრესის დასადგენად;

7. სტუდენტთა სარეიტინგო კონკურსის შედეგები შეიძლება იყოს გამოყენებული მომდევნო სემესტრში ბტუ-ს სტუდენტური გრანტის/სტიპენდიის გაცემის მიზნით. ამ შემთხვევაში სარეიტინგო სიის შედგენისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა სარეიტინგო სისტემები. მაგ., სემესტრის შედეგები:

1.	აკადემიური მოსწრება	მოიაზრება მხოლოდ წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო ქულით შედგენილი სარეიტინგო სია.
2.	აკადემიური მოსწრება + საუნივერსიტეტო აქტივობების შედეგები	<u>1. რეიტინგის ქულის კომპონენტები:</u> 1) ძირითადი კომპონენტი - აკადემიური მოსწრება (წინა სემესტრის შედეგები). 2) დამატებითი კომპონენტები - სხვადასხვა (შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისთვის რელევანტური/განკუთვნილი) აქტივობები, მათ შორის, მაგ.: განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის აქტივობები; მეწარმეობის ცენტრის აქტივობები; კარიერული განვითარების ცენტრის აქტივობები; კვლევების ცენტრის აქტივობები. <u>2. საუნივერსიტეტო აქტივობების კატეგორიები და ქულები:</u> ▪ არანაკლებ ერთ საუნივერსიტეტო კონკურსში/პროექტში/პროგრამაში გამარჯვება = 3 ქულა; ▪ საუნივერსიტეტო ღონისძიებებში (შეხვედრები, ტრენინგები, საჯარო ლექციები, ჰაკათონები, იდეათონები, სერთიფიცირების პროგრამები, მასტერკლასები, ვებინარები, პანელური დისკუსიები, პრე-აქსელერაციის პროგრამა და/ან სხვა) მონაწილეობა - აქტივობების მთლიანი რაოდენობის: - 50%-ზე მეტი = 2 ქულა ან - 50%-ზე ნაკლები = 1 ქულა. <u>3. საბოლოო რეიტინგის ქულის (Σ) გამოთვლა:</u> Σ (რეიტინგის ქულა) = A (აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა) + B (საუნივერსიტეტო აქტივობების შედეგები: 3 / 2 / 1 ქულა).

<u>შენიშვნა:</u>

1) მხოლოდ აკადემიური მოსწრების მიხედვით სარეიტინგო სიის შედგენაზე და სისწორეზე პასუხისმგებლები არიან ფაკულტეტი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
2) აკადემიური მოსწრების და სხვადასხვა აქტივობების გათვალისწინებით სარეიტინგო სიის შედგენაზე პასუხისმგებლები არიან: აკადემიური მოსწრების ნაწილში - ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხოლო სხვადასხვა აქტივობებში სტუდენტის ქულების დადგენაზე - განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, მეწარმეობის ცენტრი, კარიერული განვითარების ცენტრი, რომლებიც ვალდებულები არიან შეაჯამონ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებში სტუდენტთა მონაწილეობის მაშვენებელი და შესაბამისი შეჯამებული ინფორმაცია (სტუდენტების ვინაობა და ქულები) წარუდგინონ ფაკულტეტის დეკანს, რაც უნდა განხორციელდეს სემესტრის დასრულებიდან არაუმეტეს 01 კვირის ვადაში.

ცხრილი #1 - სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის შედეგები (ნიმუში)

#	სტუდენტი (გვარი, სახელი)	სემესტრის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები (#)			Σ (ქულა)
		არანაკლებ ერთ საუნივერსიტეტო კონკურსში/პროექტში/პროგრამაში გამარჯვება	საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა - მთლიანი რაოდენობის		
			50%-ზე მეტი	50%-ზე ნაკლები	
1	N1	3	2	-	5
2	N2	-	-	1	1
3	N3	-	2	-	2

8. ბტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირველი კურსის (პირველი სემესტრის) სტუდენტების სასწავლო დაფინანსების (ბტუ-ს სტუდენტური გრანტის) მიზნით, შეიძლება იყოს გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პირველი სემესტრის სტუდენტთა სარეიტინგო სია, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს, მაგ., ერთიანი ეროვნული გამოცდების (საბაკალავრო პროგრამები), საერთო სამაგისტრო გამოცდების (სამაგისტრო პროგრამები) და შიდა საუნივერსიტეტო მისაღები კონკურსის (დოქტორანტურის პროგრამები) რანჟირების ქულები - გრანტი გაიცემა ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისთვის, რაც ხდება ბტუ-ს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შედგენილი სარეიტინგო სიის მიხედვით.

9. ბტუ უფლებამოსილია გამოიყენოს ერთ-ერთი ზემოთ მითითებული სისტემა ან შეიმუშაოს და გამოიყენოს განსხვავებული სისტემა იმ პირობით, რომ: 1) ამ სისტემის გამოყენებით იქნება უზრუნველყოფილი სარეიტინგო კონკურსის გამჭვირვალობა, თანასწორობა და სამართლიანობა; 2) ინფორმაცია სარეიტინგო სისტემის (კომპონენტები, სარეტინგო ქულის ფორმირების წესი, სხვ.) შესახებ იქნება საჯარო და რელევანტურ ვადაში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის რეიტინგი. სარეიტინგო სისტემა - ეფექტიანობის შეფასების მექანიზმი

1. აკადემიური პერსონალის რეიტინგის სისტემის მიზანი და ამოცანები

1. ბტუ-ში სარეიტინგო ანალიზის მიზანია ბტუ-ს აკადემიური პერსონალის (შემდგომში - პერსონლის) კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის ზრდის, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობის განვითარების სტიმულირება წახალისების სისტემის გამოყენების გზით;

2. სარეიტინგო ანალიზის ძირითადი ამოცანებია:

1) მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც ობიექტურად და სრულად ასახავს როგორც ცალკეული პირის, ისე საგანმანათლებლო პროგრამების, ფაკულტეტის და მთლიანობაში ბტუ-ს საქმიანობას;
2) ბტუ-ს და ფაკულტეტის საქმიანობის სრულყოფა და განვითარება მისი პერსონალის ობიექტური ანალიზის მეშვეობით;
3) აკადემიური პერსონალის საქმიანობის სტიმულირება;
4) პერსონალის, პროგრამების და ფაკულტეტის ეფექტიანობის ხარისხის შეფასების მიზნით კომპლექსური ერთიანი კრიტერიუმების შემუშავება და გამოყენება.

3. რეიტინგის სისტემის საფუძველს წარმოადგენს მისი მნიშვნელობის გაცნობიერება, რაც გულისხმობს მის აღიარებას პირის საქმიანობის საბოლოო შედეგების, მისი საქმიანობის ეფექტიანობის და ხარისხის შეფასების ობოექტურ მექანიზმად. გამოყენებული მაჩვენებლები და რაოდენობრივი შეფასების (რანჟირების) მეთოდიკა არის ერთობლივად შემუშავებულია ბტუ-ს ადმინისტრაციის და ფაკულტის მიერ;

4. შედეგების შედარების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით ბტუ-ში გათვალისწინებულია შემდეგი კატეგორიები: აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი), პროგრამა და პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტი.

2. აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა

1. აკადემიური პერსონალის პირადი რეიტინგი ითვალისწინებს პირის სასწავლო, სამეცნიერო და სხვა აქტივობებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში;

2. პირადი სარეიტინგო ქულის განსაზღვრისთვის გამოიყენება წინამდებარე წესის დანართი („აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა“), რომელშიც მითიებულია მაჩვენებლების დასახელებები, აქტივობების დასახელებები და რიგითი ნომრები, შეფასების ქულები და ა.შ. ყველა მაჩვენებელს და აქტივობას აქვს ერთგვაროვანი ფორმულირება (განმარტება), ამიტომ ცხრილის შევსებისას სახელმძღვანელოა დადგენილი განმარტებები;

3. საანგარიშო პერიოდში პირადი რეიტინგის ($R_{\text{პირადი}}$) გამოთვლა:

1) გამოთვლებისას გამოიყენება მიმდინარე კალენდარული ან აკადემიური წლის მონაცემები (აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ან ფაკულტეტის დეკანი რექტორთან შეთანხმებით);
2) პირადი რეიტინგი გამოითვლება წინამდებარე წესის დანართში „აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა“ მოცემული ცხრილის მეშვეობით. ცხრილში მითითებულ ყველა აქტივობას აქვს თავისი კოეფიციენტი, რომელზეც მრავლდება აქტივობების რაოდენობა;
3) მაჩვენებელში (აკადემიური პერსონალის საქმიანობის მიმართულებაში) სარეიტინგო ქულა უდრის ამ მაჩვენებელში შემავალ აქტივობებში მიღებული ქულების ჯამს (ცხრილის გრაფა „ჯამური ქულა“);
4) პირადი რეიტინგი მიიღება ყველა მაჩვენებელში მიღებული ქულების ჯამის გაყოფით მაჩვენებლების რაოდენობაზე. მიღებულ ქულას ემატება საგანმანათლებლო საქმიანობაში პირის კვლევის შედეგების

იმპლემენტაციის ინდივიდუალური მაჩვენებლის ქულა (არსებობის შემთხვევაში).

4. რამდენიმე წლის პირადი რეიტინგი წარმოადგენს ამ პერიოდში პირადი რეიტინგების საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.

5. ზემოთ მითითებული წესი გამოიყენება აკადემიური პერსონალის სარეიტინგო მაჩვენებლების დადგენისთვის და, ასევე, შეიძლება იყოს გამოყენებული პროგრამის განხორციელების მიზნით მოწვეული პერსონალის (მოწვეული სპეციალისტების შემთხვევაშიც).

3. საგანმანათლებლო პროგრამის, პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის რეიტინგი

1. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური რეიტინგი წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომების ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს:

$$R_{\text{პროგრამა}} = (R_{\text{კურსდამთავ1}} + R_{\text{კურსდამთავ2}} + \ldots R_{\text{კურსდამთავn}}) : n_{\text{კურსდამთავ}}$$

სადაც: $R_{\text{პროგრამა}}$ - პროგრამის რეიტინგი;

$R_{\text{კურსდამთავ1}}$, $R_{\text{კურსდამთავ2}}$, ... $R_{\text{კურსდამთავ n}}$ -არის პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომების ქულები

$n_{\text{კურსდამთავ}}$ - პროგრამის კურსდამთავრებულთა ჯამური რაოდენობა.

2. პროგრამის ხელმძღვანელის რეიტინგის (კგრ) განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად:

$$R_{\text{პროგრამის ხელმძღვანელი}} = R_{\text{პირადი}} + 0{,}5 \text{ x } R_{\text{პოგრამა}}$$

სადაც: $R_{\text{პროგრამის ხელმძღვანელი}}$ - არის პროგრამის ხელმძღვანელის რეიტინგი;

$R_{\text{პირადი}}$ - პროგრამის ხელმძღვანელის პირადი რეიტინგი;

$R_{\text{პროგრამა}}$ - პროგრამის აკადემიური რეიტინგი.

3. ფაკულტეტის აკადემიური რეიტინგი უდრის მის შემადგენლობაში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს:

$$R_{\text{ფაკულტეტი}} = (R_{\text{პოგრამა1}} + R_{\text{პოგრამა2}} + \ldots + R_{\text{პოგრამაn}}) : n_{\text{პოგრამა}}$$

სადაც: $R_{\text{ფაკულტეტი}}$ - ფაკულტეტის რეიტინგი;

$R_{\text{პროგრამა1}}$, $R_{\text{პროგრამა2}}$, ... , $R_{\text{პროგრამაn}}$ - ფაკულტეტის პროგრამების რეიტინგები;

$n_{\text{პოგრამა}}$ - ფაკულტეტის პროგრამების რაოდენობა.

მუხლი 5. რეიტინგის შედეგები. შედეგების გასაჩივრება. პასუხისმგებლობები და ვალდებულებები

1. რეიტინგის შედეგები და შედეგებზე გავლენის მქონე ფაქტორები. რეიტინგის შედეგების გასაჩივრება

1. ბტუ-ში პირველად სარეიტინგო შედეგებს აჯამებს და სარეიტინგო სიებს ადგენს: 1) სტუდენტების შემთხვევაში - სასწავლო პროცესის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; 2) აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

2. მონაცემების შესწავლით დგინდება ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე: ა) სტუდენტები, ბ) აკადემიური თანამდებობის მქონე პირები; გ) საგანმანათლებლო პროგრამები;

3. სტუდენტების შემთხვევაში რეიტინგის შედეგები არის აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველი, რომელიც გაიცემა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით. სტუდენტებისთვის აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საკითხი განიხილება ბტუ-ს შინაგანაწესში გათვალისწინებული წესით. ბტუ უფლებამოსილია დაადგინოს აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის დამატებითი და/ან გამონაკლისი შემთხვევები. აკადემიური სტიპენდია გაიცემა მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის. სტუდენტის მიერ სწავლები, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების უხეში დარღვევის შემთხვევაში ბტუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება აკადემიური სტიპენდიის გაცემის გარკვეული ვადით შეჩერების / შეწყვეტის შესახებ. აკადემიური სტიპენდია გაიცემა მხოლოდ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის და წყდება სტატუსის შეჩერების შემთხვევაში;

4. აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა მცირდება პირის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში შრომითი/სწავლების დისციპლინის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების ან/და სხვა დარღვევის (ერთჯერადი დარღვევა - 25%-ით, 2 და მეტი - 50%-ით) შემთხვევაში. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელის რეიტინგზე გავლენას ახდენს: ა) პროგრამის გარე შეფასების შედეგები - საბოლოო ქულა წარმოადგენს ყველა დადებითი და უარყოფითი შეფასებების საშუალოარითმეტიკულ სიდიდეს (ერთი დადებითი შეფასება: 1 ქულა, ერთი უარყოფითი შეფასება: -1 ქულა); ბ) პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის ყოველწლიური შეფასების ქულა. ორივე მითითებულ შემთხვევაში მიღებული რაოდენობები ემატება პროგრამის ხელმძღვანელის პირადი რეიტინგის ქულას;

5. ფაკულტეტის დეკანი განიხილავს და ითვალისწინებს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის განსაკუთრებული მიღწევების შემთხვევებს და შეიძლება მიმართოს ბტუ-ს რექტორს მაღალრეიტინგიანი

პერსონალის და სტუდენტების მატერიალური და/ან არამატერიალური წახალისების თაობაზე, რომელიც გამოიყენება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით. გადაწყვეტილება მიიღება როგორც სარეიტინგო ქულების, ისე პირის განსაკუთრებული სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, შემეცნებითი, სხვ. მიღწევების გათვალისწინებით.

6. რეიტინგის შედეგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის;

7. შედეგების და გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია რეიტინგის შედეგის გამოცხადებიდან მომდევნო 02 სამუშაო დღის განმავლობაში ბტუ-ში მოქმედი განცხადებების წარდგენის წესის შესაბამისად. საჩივრებს განიხილავს რექტორის მიერ შექმნილი კომისია (საპრეტენზიო კომისიის წევრი ვერ იქნება პირი, რომლებიც მონაწილეობდა სარეიტინგი სიების შედგენაში, თავად მონაწილეობს სარეიტინგო შეფასებაში ან რომლის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი). საჩივრის განხილვა და შედეგის გამოცხადება ხდება ბტუ-ს შინაგანაწესში დადგენილი წესით და ვადებში.

2. პასუხისმგებლობები და ვალდებულებები

1. სტუდენტების შემთხვევაში სარეიტინგო სიები დგება პროგრამების მიხედვით, სემესტრულად;

2. სტუდენტების რეიტინგის დადგენისთვის მონაცემების შეგროვება-დამუშავება და შემაჯამებელი ინფორმაციის მომზადება ევალება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, მიღებული ინფორმაციის ანალიზი - ფაკულტეტის დეკანს;

3. პროგრამების პერსონალის რეიტინგის დადგენისთვის მონაცემების შეგროვება-დამუშავება და შემაჯამებელი ინფორმაციის მომზადება ევალება სასწავლო პროცესის მართვის და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებს და კვლევების ცენტრს, მიღებული ინფორმაციის შეჯამება (მათ შორის, შესაბამისი ფორმების შევსება) ევალება ფაკულტეტს (ფაკულტეტის მენეჯერს/კოორდინატორს დეკანს დავალებით);

4. პროგრამების, პროგრამების ხელმძღვანელების და ფაკულტეტის რეიტინგის დადგენისთვის მონაცემების შეგროვება-დამუშავება და შემაჯამებელი ინფორმაციის მომზადება (მათ შორის, შესაბამისი ფორმების შევსება) ევალება ფაკულტეტს (მენეჯერს/კოორდინატორს დეკანს დავალებით);

5. ზემოთ მითითებულ პროცესებზე კონტროლი, ასევე პროგრამების, პროგრამების ხელმძღვანელებისა და პერსონალის და ფაკულტეტის რეიტინგის შესწავლა და რამდენიმე წლის მონაცემებზე - დინამიკებზე - დაკვირვება, ტენდენციების ანალიზი (მათ შორის, უარყოფითი დინამიკის შემთხვევაში - მიზეზების შესწავლა), სარეიტინგო მონაცემების ანალიზი, შედეგების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება ევალება ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 6. სარეიტინგო სისტემის დანერგვა

1. სარეიტინგო სისტემის (მთლიანად ან მისი ცალკეული კომპონენტების) დანერგვაზე და გამოყენებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი, მის ვალდებულებაში შედის მთლიანად ფაკულტეტის, პროგრამების სტუდენტების, ხელმძღვანელების, განმახორციელებელი პერსონალის პერსონალის საქმიანობის სისტემატური ანალიზი. გაუარესების დინამიკის შემთხვევებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს/რეკომენდაციებს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო;

2. ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია გადაწყვიტოს სარეიტინგო სისტემის გამოყენების მოცულობა (სრულად ან ერთი/რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით), ჩაატაროს რეიტინგი, დაადგინოს სასწავლო პროცესის, პერსონალის საგანმანათლებლო, სამეცნიერო საქმიანობის ან სხვ. გასაუმჯობესებელი ასპექტები და მათი გაუმჯობესების გზები;

3. სტუდენტთა რეიტინგი ტარდება ყოველ წელს სემესტრულად. მისი შედეგები წარმოადგენს აკადემიური სტიპენდიის გაცემის (სემესტრულად) საფუძველს;

4. ფაკულტეტის დეკანი:

1) უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ფაკულტეტზე დასაქმებული პირების ინფორმირებას სარეიტინგო სისტემის შესახებ, ასევე უზრუნველყოფს მათთვის რეიტინგების შედეგების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას;
2) უფლებამოსილია გამოიყენოს რეიტინგის შედეგები აკადემიური პერსონალის აკადემიური დატვირთვის შესრულების ეფექტიანობის შესაფასებლად.

5. რეიტინგში მონაწილე პირი უნდა იყოს ინფორმირებული სარეიტინგო სიაში მის მიერ დაკავებული ადგილის, ფაკულტეტის, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო ჯგუფის (სტუდენტის შემთხვევაში) რეიტინგის შესახებ;

6. წინამდებარე წესი შეძლება იყოს გამოყენებული მოწვეული პერსონალის რეიტინგის და აკადემიური საქმიანობის ხარისხის შესაფასებლად.

მუხლი 7. დანართები

1. წინამდებარე წესის არსებული დანართები (#01 - აკადემიური პერსონალის პირადი სარეიტინგო ქულა; #02 - აკადემიური პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების და ფაკულტეტის რეიტინგი; #03 - შემაჯამებელი სარეიტინგო ინფორმაცია), ასევე ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუქციები, ფორმები და სხვ. წარმოადგენს ამ დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს და ძალაში შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების და დადგენილი წესით აღრიცხვის შემთხვევაში. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები/დამატებები დანართებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება წინამდებარე დოკუმენტს.

მუხლი 8. დოკუმენტების კონფიდენციალურობა და საჯაროობა

1. ბტუ-ს დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს არასაჯარო ინფორმაციას - პირი, რომელიც მონაწილეობს დოკუმენტის/ცვლილებების პროექტის შემუშავების პროცესში, ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა, არ გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამუშაო პროცესში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე არსებოს ბტუ-ს რექტორის თანხმობა ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება; არასაჯარო ინფორმაციის გავრცელება/გამჟღავნება იწვევს შესაბამის დისციპლინურ სანქციას;

2. ბტუ-ს ყველა საჯარო დოკუმენტის მოქმედი რედაქცია (ცვლილებების აღრიცხვის ფურცელში მითითებული ინფორმაციის გარეშე) აიტვირთება ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე www.btu.edu.ge.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ;

2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბტუ-ში ამ დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი ამ დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხების მარეგულირებელი დებულება/წესი;

3. ბტუ-ს პერსონალი, სტუდენტები, სარეიტინგო პროცესთან დაკავშირებული პირ(ებ)ი ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დოკუმენტს, ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა;

4. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, კვლევების ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური;

5. წინამდებარე დოკუმენტის დატკიცება, დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;

6. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;

7. წინამდებარე დოკუმენტის ცალკეული მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად დოკუმენტის ან დოკუმენტის სხვა მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ცვლილებას ან ძალადაკარგულად/ბათილად ცნობას, თუ ეს არსებითად არ ცვლის მათ შინაარსს;

8. წინამდებარე დოკუმენტის დანართები (არსებობის შემთხვევაში), ასევე ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული და სათანადოდ აღრიცხული ფორმები/ინსტრუქციები/სხვ. (არ საჭიროებს ცალკე დამტკიცებას) წარმოადგენს დოკუმენტის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და ითვლება დამტკიცებულად წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცების საფუძველზე;

9. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით და ბტუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

10. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს მისი გაუქმების, ახალი დოკუმენტის - „სარეიტინგო სისტემა. ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია“ ან წინამდებარე დოკუმენტში გათვალისწინებული საკითხების მომწესრიგებელი ახალი დოკუმენტ(ებ)ის ამოქმედების დღიდან.